არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო

ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

2.2 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ღირებულებებზე. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის მსჯელობებსა და შეფასებებს აქტივებთან, ვალდებულებებთან, პირობით ვალდებულებებთან, შემოსავალთან და ხარჯებთან დაკავშირებით. მენეჯმენტი თავის მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს ამყარებს ისტორიულ გამოცდილებასა და სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებზე, რომლებსაც მენეჯმენტი გონივრულად მიიჩნევს მოცემულ გარემოებებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო მსჯელობები და შეფასებები იშვიათად შეესაბამება ფაქტობრივ შედეგებს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასების რეზერვი მოითხოვს შეფასებისა და მსჯელობის გარკვეულ ხარისხს. ის ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს, დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით და აკეთებს დაშვებებს თითოეული ჯგუფისთვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საერთო მაჩვენებლის გამოსაყოფად. ეს დაშვებები მოიცავს ბოლოდროინდელი გაყიდვების გამოცდილებასა და თანხების დაბრუნების მაჩვენებლებს.

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

3. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი იურიდიული პირებისგან	32,770,619	26,479,809
შემოსავალი ფიზიკური პირებისგან	3,203,071	4,332,578
სულ შემოსავალი	35,973,690	30,812,387

4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
მარაგების თვითღირებულება	30,719,772	26,268,856
შრომითი ანაზღაურება და თანამშრომლების სხვა სარგებელი	817,185	707,524
საწვავის ხარჯი	114,477	113,911
საშუამავლო მომსახურების ხარჯი	88,533	101,492
ტრანსპორტირების ხარჯი	42,962	30,981
ავტომობილის ხარჯები	38,898	54,251
სხვა ხარჯები	128,749	161,465
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	31,950,576	27,438,480

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს შრომითი ანაზღაურებისა და თანამშრომლების სხვა სარგებელს, საწვავის ხარჯს, საშუამავლო მომსახურების ხარჯს, ტრანსპორტირების ხარჯს, ავტომობილის ხარჯს და სხვა ხარჯებს.

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომითი ანაზღაურება და თანამშრომლების სხვა სარგებელი	905,536	638,225
ბონუსი	584,366	297,368
ცვეთა და ამორტიზაცია	157,066	131,416
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	76,232	30,970
სერვისის ხარჯი	51,602	51,291
დაზღვევის ხარჯი	28,331	21,094
ავტოტექნომომსახურება	1,023	1,857
საპენსიო ხარჯი	20,247	16,832
საოფისე ინვენტარი და საკანცელარიო ხარჯი	31,824	22,932
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	64,507	79,763
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	1,920,734	1,291,748

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

6. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2024	2023
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	803,430	873,561
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(957,729)	(918,096)
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(154,299)	(44,535)

სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული მოგება/(ზარალის) დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

	2024	2023
ფული და ფულის ექვივალენტები	553,965	626,698
დებიტორული დავალიანება	247	443
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	227,388	222,760
სესხები	21,830	23,660
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება	803,430	873,561
ფული და ფულის ექვივალენტები	(588,392)	(682,988)
დებიტორული დავალიანება	(2)	(136)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(347,505)	(211,312)
სესხები	(21,830)	(23,660)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	(957,729)	(918,096)
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(154,299)	(44,535)

7. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორატიული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვრის მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. კანონი ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრის საგადასახადო პერიოდიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილებები საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა საანგარიშგებო თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების აღიარება არ მომხდარა. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება რომელიც შემოსავლის განაწილების შედეგად წარმოიქმნება, არ იქნება აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

8. აქტივის გამოყენების უფლება

თვითღირებულება	მაღაზიის ფართი	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
დამატება/(გასვლა)	146,836	146,836
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	146,836	146,836
დამატება/(გასვლა)	-	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	146,836	146,836

დაგროვილი ცვეთა		
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
ცვეთის ხარჯი	(14,276)	(14,276)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(14,276)	(14,276)
ცვეთის ხარჯი	(24,473)	(24,473)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(38,749)	(38,749)

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა	132,560	132,560
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა	108,087	108,087

კომპანიამ გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთი სესხების აღებისთვის, რომელიც შეადგენს - 13.83%-ს.

კომპანიას აქვს ერთი საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც იჯარის საგანია სავაჭრო ფართი. იჯარის სავარაუდო ვადა არის 5 წელი, რომლის ვადა გაგრძელდა 2029 წლის ბოლომდე.

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2023 წლის 1 იანვარი	1,838,976	1,671,953	52,146	499,619	1,844	194,048	4,258,586
შეძენა	779,162	8,246	2,840	133,209	-	56,698	980,155
კაპიტალიზაცია	-	-	-	4,588	-	1,234	5,822
გასვლა	-	-	-	(147,683)	-	-	(147,683)
2023 წლის 31 დეკემბერი	2,618,138	1,680,199	54,986	489,733	1,844	251,980	5,096,880
შეძენა	-	3,546	1,257	15,987	-	32,811	53,601
შიდა მოძრაობა	-	435	-	-	-	(435)	-
კაპიტალიზაცია	58,714	100,263	-	1,370	-	15,878	176,225
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	2,676,852	1,784,443	56,243	507,090	1,844	300,234	5,326,706
დაგროვილი ცვეთა	-	(103,697)	(20,688)	(156,319)	(395)	(75,274)	(356,373)
2023 წლის 1 იანვარი	-	(103,697)	(20,688)	(156,319)	(395)	(75,274)	(356,373)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(39,383)	(6,359)	(48,008)	(114)	(23,276)	(117,140)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	4,241	-	-	4,241
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(143,080)	(27,047)	(200,086)	(509)	(98,550)	(469,272)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(40,275)	(6,698)	(54,695)	(114)	(30,811)	(132,593)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(183,355)	(33,745)	(254,781)	(623)	(129,361)	(601,865)
ნეტო საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 1 იანვარი	1,838,976	1,568,256	31,458	343,300	1,449	118,774	3,902,213
2023 წლის 31 დეკემბერი	2,618,138	1,537,119	27,939	289,647	1,335	153,430	4,627,608
2024 წლის 31 დეკემბერი	2,676,852	1,601,088	22,498	252,309	1,221	170,873	4,724,841

მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, ჯამური ღირებულებით 656,455 ლარი, დაგირავებულია საქართველოს ბანკის სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	2024	2023
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,048,534	1,876,767
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	212,760	136,464
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,544	16,261
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,263,838	2,029,492

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

არ არსებობს არსებითი განსხვავება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების სამართლიან ღირებულებასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის. ნაღდი ფული ბანკში უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში განთავსდება მიმდინარე ანგარიშზე.

11. მარაგები

	2024	2023
საქონელი	4,743,056	3,975,715
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	60,586	38,520
სულ მარაგები	4,803,642	4,014,235

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,932,299	1,969,742
საექვო ვალების ანარიცხები	(309,556)	(434,374)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,622,743	1,535,368
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	349,864	375,284
სხვა მოთხოვნები	77	16,704
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,972,684	1,927,356

სავაჭრო მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის მატერიალური სხვაობა არ არის.

გადახდილი ავანსები მოიცავს მარაგების შესაძენად გადახდილ ავანსებს.

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვები წარმოდგენილია ქვემოთ:

	31.12.2024	31.12.2023	გაუფასურების განაკვეთი
მიმდინარე	743,481	770,671	0.5%
0- 30 დღით ვადაგადაცილებული	430,771	425,589	2%
31- 60 დღით ვადაგადაცილებული	217,137	226,404	5%
61 - 90 დღით ვადაგადაცილებული	243,654	105,281	20%
91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	85,249	98,270	30%
180-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	212,083	360,230	100%
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,932,375	1,986,445	
გაუფასურების რეზერვი	(309,555)	(434,373)	
წმინდა მოთხოვნები	1,622,820	1,552,072	

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ვადაგადაცი ლების დღეები	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი	სულ
თანხა	743,403	430,771	217,137	243,654	85,251	212,083	1,932,299
%	0.5%	2%	5%	20%	30%	100%	
რეზერვი	3,695	8,615	10,857	48,731	25,575	212,083	309,556

სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ვადაგადაცი ლების დღეები	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი	სულ
თანხა	753,966	425,589	226,404	105,281	98,270	360,230	1,969,742
%	0.5%	2%	5%	20%	30%	100%	
რეზერვი	3,774	8,512	11,320	21,056	29,481	360,230	434,373

13. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება 72,688 ლარის ოდენობით (2023: 87,188) წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებას ადგილობრივი საგადასახადო ორგანოების მიმართ.

14. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია 100,000 ლარით.

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

15. საიჯარო ვალდებულებები

	31-Dec-24	31-Dec-23
გრძელვადიანი იჯარა	100,066	121,503
მოკლევადიანი იჯარა	21,437	17,331
სულ	121,503	138,834

საიჯარო ვალდებულებების დეტალური მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

	-
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	146,836
საიჯარო ვალდებულების აღიარება	(19,576)
საიჯარო გადახდები	11,574
პროცენტის დარიცხვა	138,834
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(35,517)
საიჯარო გადახდები	18,186
პროცენტის დარიცხვა	121,503
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	

კომპანიამ გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთი სესხების აღებისთვის, რომელიც შეადგენს - 13.83%-ს.

კომპანიას აქვს ერთი საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც იჯარის საგანია სავაჭრო ფართი. იჯარის სავარაუდო ვადა არის 5 წელი, რომლის ვადა გაგრძელდა 2029 წლის ბოლომდე.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,410,956	349,929
მიღებული ავანსები	117,272	51,847
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,528,228	401,776

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს სხვადასხვა ვალდებულებებს, რომლებიც, შესაბამისად, დაკავშირებულია ხარჯებთან, რომლებიც დარიცხული იყო, მაგრამ არ გადაიხადეს წლის ბოლოს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ითვლება შესაბამისობაში ანგარიშგების თარიღისთვის მათ სამართლიან ღირებულებასთან.

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა**(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შისრულობადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 - ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით:

	2024			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,263,838	-	-	2,263,838
დებიტორული დავალიანება	-	-	1,622,820	1,622,820
სულ ფინანსური აქტივები	2,263,838	-	1,622,820	3,886,658
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,410,956	1,410,956
საიჯარო ვალდებულებები	-	-	121,503	121,503
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,532,459	1,532,459

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

2023

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,029,492	-	-	2,029,492
დებიტორული დავალიანება	-	-	1,552,072	1,552,072
სულ ფინანსური აქტივები	2,029,492	-	1,552,072	3,581,564
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	349,929	349,929
საიჯარო ვალდებულებები	-	-	138,834	138,834
სესხები	-	208,960	-	208,960
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	208,960	488,763	697,723

(ზ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	12/31/2024	12/31/2023
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	2,263,838	2,029,492
დებიტორული დავალიანება	1,622,820	1,552,072
სულ ფინანსური აქტივები	3,886,658	3,581,564
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,410,956	349,929
საიჯარო ვალდებულებები	121,503	138,834
სესხები	-	208,960
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,532,459	697,723

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

i. რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა ბიზნეს რისკების იდენტიფიცირებისა და მათი მართვის შესახებ.

ii. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ,
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად,
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში,
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა, ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს:

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2024 წლის დასაწყისში ასევე 2024 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცდილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 4 ვადაგადაცდილების დონე, მოსალოდნელი საკრედიტო

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორზე, მის წარსულ გამოცდილებასა და ეკონომიკურ ფაქტორებზე, მათ შორის სამომხმარებლო ფასების ინდექსზე, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთსა და მშპ ზრდაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით, ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის, ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

კომპანია სრულად უიმედო ვალებს ჩამოწერს მას შემდეგ, რაც მიიღებს ოფიციალურ დადასტურებს კონტრაგენტის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

სავაჭრო მოთხოვნები არ არის უზრუნველყოფილი.

iii. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	2,263,838	-	2,263,838
დებიტორული დავალიანება	1,622,820	-	1,622,820
სულ ფინანსური აქტივები	3,886,658	-	3,886,658
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,410,956	-	1,410,956
საიჯარო ვალდებულებები	100,066	21,437	121,503
სესხები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,511,022	21,437	1,532,459
ლიკვიდურობის პოზიცია	2,375,636	(21,437)	2,354,199

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	2,029,492	-	2,029,492
დებიტორული დავალიანება	1,552,072	-	1,552,072
სულ ფინანსური აქტივები	3,581,564	-	3,581,564
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	121,503	17,331	138,834
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	349,929	-	349,929
სესხები	208,960	-	208,960
სულ ფინანსური ვალდებულებები	680,392	17,331	697,723
ლიკვიდურობის პოზიცია	2,901,172	(17,331)	2,883,841

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ლიკვიდურობის რისკის მართვისათვის კომპანია ინარჩუნებს ფულადი რეზერვების ადეკვატურ დონეს და ახდენს სასესხო შესაძლებლობების მოძიებას, ამავდროულად, ახდენს მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების მონიტორინგს და ცდილობს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დამთხვევას.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებასა და ფასიანი ქაღალდების ფლობას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	215,303	2,047,044	1,491	2,263,838
დებიტორული დავალიანება	1,618,181	4,639		1,622,820
სულ ფინანსური აქტივები	1,833,484	2,051,683	1,491	3,886,658
საიჯარო ვალდებულება	121,503	-	-	121,503
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	107,470	1,303,486	-	1,410,956
სულ ფინანსური ვალდებულებები	228,973	1,303,486	-	1,532,459
წმინდა პოზიცია	1,604,511	748,197	1,491	2,354,199

ფინანსური აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	152,725	1,876,671	96	2,029,492
დებიტორული დავალიანება	1,536,717	15,355		1,552,072
სულ ფინანსური აქტივები	1,689,442	1,892,026	96	3,581,564
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,653	323,276		349,929
სესხები	208,960	-	-	208,960
საიჯარო ვალდებულება	138,834	-	-	138,834
სულ ფინანსური ვალდებულებები	374,447	323,276	-	697,723
წმინდა პოზიცია	1,314,995	1,568,750	96	2,883,841

(გ) კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია კაპიტალის მართვით აუმაჯობესებს თავის უნარს გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ და ამ გზით უზრუნველყოს აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი სარგებლის გადაცემა; ამავდროულად კაპიტალის მართვით კომპანია ინარჩუნებს კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას, რითაც ამცირებს კაპიტალის ღირებულებას.

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კაპიტალი შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განმარტებული მთლიანი კაპიტალისა და წმინდა ვალდებულებებისგან, რომელიც ამ მიზნებისათვის განიმარტება, როგორც სხვაობა მიღებულ სესხებსა და ფულისა და ფულის ექვივალენტებს შორის.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა ან/და შეცვლის მიზნით კომპანია ცვლის აქციონერებისადმი გადასახდელი დივიდენდის მოცულობას, უშვებს ახალ აქციონებს ან ვალდებულებების შემცირების მიზნით ყიდის აქტივებს.

კომპანიის კაპიტალის რისკის მართვის პოლიტიკა უცვლელია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წლის შემდეგ.

18. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირად ცვალებადი კანონმდებლობით, რომელიც ხშირად ექვემდებარება ინტერპრეტაციას. სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებს შორის ხშირად არსებობს განსხვავებული ინტერპრეტაციები. ამ ფაქტორებმა შეიძლება შექმნას მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკები საქართველოში სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. საქართველოს ეკონომიკის განვითარებასთან და საგადასახადო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული რისკების მიუხედავად, მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანია კარგად არის დაცული ასეთი რისკებისგან ასეთ გარემოში მუშაობის დიდი გამოცდილებისა და კანონმდებლობის განახლებების მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე.

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავე ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავე საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავე ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

(VII) (ა) (I) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავე ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VIII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავე ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება	31-დეკ-24	31-დეკ-23
ხელფასები და დანამატები	713,786	439,698

რაც მოიცავს:

პირი	თანამდებობა	2024	2023
	ადმინისტრაციული		
ვ. ბაზაძე	დირექტორი	270,179	267,446
ზ. გელაგა	დირექტორის მოადგილე	166,626	81,757
ოლეგი ბაზაძე	დირექტორი	276,981	90,495

2024 წლის 31 დეკემბრის დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

დაკავშირებული მხარეები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,040

2023 წლის 31 დეკემბრის დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

დაკავშირებული მხარეები	
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	987
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	93

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

დაკავშირებული მხარეები	
საქონლის გაყიდვა	2,420,832
ნედლეულის, სხვა მასალებისა და მომსახურების შესყიდვა	2,600,623
ანაზღაურება	277,675

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

დაკავშირებული მხარეები	
საქონლის გაყიდვა	1,686,767
ნედლეულის, სხვა მასალებისა და მომსახურების შესყიდვა	1,369,540
ანაზღაურება	91,140

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

შპს „თი თი სი“ მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „თი თი სი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია საქმიანობას ეწევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად.

შპს „თი თი სი“ დაფუძნდა 2007 წლის 5 აპრილს. კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. ყოველდღიურ მართვას ახორციელებს პარტნიორების მიერ დანიშნული დირექტორი.

ორგანიზაციის პარტნიორები არიან:

ოლეგი ბაზაძე - 50 %

დავითი ნიქაბაძე - 50%

კომპანიის დირექტორი არის ოლეგი ბაზაძე.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

შპს „თი თი სი“ – სამშენებლო მასალების მწარმოებელი, იმპორტიორი და უკვე 17 წელია რაც ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელი კომპანიაა საქართველოს სამშენებლო ბიზნეს სექტორში. დაარსებიდან დღემდე კომპანიის #1 პრიორიტეტი ბაზარზე მაღალი სტანდარტების დაწესება, ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბება და ერთგული მომხმარებლების ჯგუფის შექმნა, რაც განაპირობებს კომპანიის წარმატებას.

გუნდი, რომელიც საფუძვლად უდევს კომპანიის წინსვლას, შედგება კვალიფიციური და ერთგული თანამშრომლებისგან. თი თი სი ყოველთვის მზად არის მის გუნდში მიიღოს მიზანდასახული და შრომისმოყვარე კადრები, რომლებიც წვლილს შეიტანენ კომპანიის განვითარებაში.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან არის შემდეგი:

	2024	2023
შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან	35 973 690	30 812 387

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

სამშენებლო სფეროში, კომპანია არის გარანტი, იმისა რომ შესაძლებელია ყველა ტიპის სამშენებლო გადაწყვეტილების შესრულება.

ჩვენი ძირითადი მიმართულებები:

- საყალიბე მასალები: ლამინირებული ფანერა, სამშენებლო დგარი, ყვითელი კოჭი.
- საავეჯე მასალები: ფანერა, მერქანბურბუშელოვანი ფილა, მერქანბოჭკოვანი ფილა, ორიენტირებული ბურბუშელო.
- აქსესუარები: ყალიბის ჩამკეტი, ფილის პლასტმასის ფიქსატორი არმატურისთვის და სხვა.
- დამატუნებელი და ჰიდროსაიზოლაციო მასალები: XPS, მინერალური ბამბა, ქვის ბამბა, დიფუზიური, სადრენაჟე და სინთეტიკური მემბრანები;
- დანადგარები: არმატურის საღუნე დანადგარი, არმატურის საჭრელი დანადგარი.
- სამშენებლო ქიმია: ყალიბის საპოხი ზეთი.

მიუხედავად პროდუქციის კატეგორიების მრავალფეროვნებისა, კომპანია ყოველწლიურად სთავაზობს სიახლეს ქართულ ბაზარს და ხელს უწყობს დარგის განვითარებას.

კომპანია არის ისეთი საერთაშორისო კომპანიების ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში როგორიცაა Kronospan, Plyterra, Satecma და სხვა.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 35 973 690 ლარი, რაც 5 161 303 ლარით მეტია 2023 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით. არსებულ ზრდაზე იმოქმედა კორონავირუსის პანდემიის შედეგად გაზრდილმა მოთხოვნამ.

ძირითადი კოეფიციენტები:	2024	2023
სულ შემოსავალი	35 973 690	30 812 387
სულ აქტივები	13 873 092	12 731 251
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	50	50

თანამშრომლები: კომპანიის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 40-დან 50-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებლისთვის, მნიშვნელოვანია თანამშრომლების განათლების ხარისხი, გამოცდილება და კომპეტენტურობა. სწორედ ამიტომ კომპანია მუდმივად ცდილობს, ხელი შეუწყოს დასაქმებულების პროფესიონალურ განვითარებას და გამოცდილი კადრების მოზიდვას. დასაქმების საიტებზე უწყვეტად დევს ახალი ვაკანსიები ფილიალების ზრდის პროპორციულად. ჩვენთან დასაქმებული კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი არის უმაღლესი განათლებით. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება მომხმარებლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვასა და კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაში. თანამშრომლებს გარდა კარგი მატერიალური ანაზღაურებისა, ასევე აქვს კარგი კარიერული ზრდის შესაძლებლობა. წარმატებული თანამშრომლები ხდებიან ჯგუფის ხელმძღვანელები. თანამშრომლებს სისტემატურად უტარდებათ ტრენინგები.

ფილიალები და შეთავაზებული პროდუქტები

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ლიბანის ქუჩა, №6 .

სათაო ოფისის ფაქტიური მისამართიც არის ქ. თბილისი, ლიბანის ქუჩა 6.

დღევანდელი მდგომარეობით, გარდა სათაო ოფისისა ფუნქციონირებს კომპანიის შემდეგი ფილიალები:

- მირცხულავას ფილიალი ქ.თბილისში
- წერეთლის ფილიალი ქ.თბილისში
- ქუთაისის ფილიალი ქ.ქუთაისში

კომპანიამ 2023 წლის ბოლოს ქ. ქუთაისში შეიძინა უძრავი ქონება, სადაც მოაწყო ფილიალისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და 2023 წლის მარტში გაიხსნა კომპანიის რიგით მესამე ფილიალი. კომპანიის მიზანია/გეგმა ქუთაისის ფილიალის გახსნის მთავარი მიზანი იყო, დასავლეთ საქართველოს მომარაგება. აქამდე მომარაგება (მცირედი) ხდებოდა თბილისის ცენტრალური საწყობიდან, რაც ლოგისტიკურადაც და ფინანსურადაც ბევრად წამგებიანი იყო.

მას შემდეგ რაც გაიხსნა ქუთაისი ფილიალი, კომპანიის როგორც ცნობადობის ისე კლიენტების ბაზის საკმაოდ ზრდა გვაქვს.

კომპანიის მომხმარებელთა სეგმენტს წარმოადგენს, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები. კომპანიის მიერ რელიზებული პროდუქტების კატეგორიებია:

- საყალიბე მასალა
- სამშენებლო ქიმია
- თბოიზოლაცია
- ჰიდროიზოლაცია
- სინთეტიკური მემბრანები

კომპანიის მიერ რელიზებული პროდუქციის გამოყენების ძირითადი არეალია მშენებლობა, კერძოდ:

- საკარკასე მშენებლობა
- სამირკველის ჰიდროიზოლაცია

არსებული პროდუქტები გაიცემა , როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ისე შემდგომი ანგარიშსწორებით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

კომპანია დიდი ყურადღებით ეკიდება მომხმარებელთა უფლებების დაცვას. კლიენტის პრეტენზიაზე კომპანიას აქვს დაუყოვნებლივი რეაქცია, რაც დადებითად აისახება როგორც შემდგომი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე - ასევე ორგანიზაციის საერთო იმიჯზე.

პროდუქციის ფასების დინამიკა

კომპანია მუდმივად ცდილობს ფეხი აუწყოს სამშენებლო მასალების ბაზარზე მომხმარებელთა ცვლილებებს და შესაბამისად დაარეგულიროს პროდუქციის ხარისხი და ფასები, რაც თავის მხრივ მიბმულია საერთო სამშენებლო ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე. ფასების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს მომწოდებლის ქვეყნებში და საქართველოში არსებული ვალუტის გაცვლითი კურსები.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის უახლოეს მოკლევადიან გეგმაში შედის პროდუქტების ასორტიმენტის გაზრდა, პროდუქციის რეალიზაციის მიზნით ახალი რეგიონების ათვისებას. კომპანია აქტიურად არის ჩართული სამშენებლო საქმიანობაში მიმდინარე პროცესებში, რაც აგრეთვე გულისხმობს სამშენებლო ბაზარზე ახალი რეგულაციების დამკვიდრების შესაბამისად ახალი სტანდარტების დანერგვას. თი თი სის ძირითადი ამოცანაა უსაფრთხოების სტანდარტების მიხედვით აწარმოოს ოპერაციები, რასაც ემსახურება უსაფრთხოების მენეჯერი.

სამშენებლო ბაზრის ყოველდღიურ ანალიზზე დაყრდნობით აქტიურად ვეძებთ და ვფიქრობთ დავამატოთ ახალი პროდუქტები, რომლებიც შესაბამისი იქნება ახალ მოთხოვნებთან და იქნება კონკურენტუნარიანი.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია განხორციელებული ინვესტიციების შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ აქციების ან წილის შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე

	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან		
გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	35 973 690	30 812 387
თვითღირებულება	(31 950 576)	(27 438 480)
სასაქონლო მატერიალური მარაგები	4 803 642	4 014 235
ფული და ფულის ეკვივალენტები	2 263 838	2 029 492

შენიშვნა #1:

შემოსავლების კლება წინა წელთან შედარებით დაკავშირებულია საქონლის ფასების შემცირებით ბაზარზე, რაც ძირითადად გამოწვეულია ვალუტის კურსის დასტაბილურებით (შემცირებით წინა წელთან შედარებით). თუმცა უნდა აღინიშნოს რომ რაოდენობრივად საქონლის რეალიზაცია გაიზარდა. ასევე გაიზარდა ახალი კლიენტების რაოდენობაც.

შესაბამისად, კომპანიას წლის ბოლოს მარაგების მზარდი ნაშთი აქვს, რომელიც შედგება როგორც საქართველოში არსებული მარაგებით ასევე საქონელი გზაში.

შენიშვნა #2:

ფული და ფულის ექვივალენტების შემცირება დაკავშირებულია საბრუნავი საშუალებების და ძირითადი საშუალებების ზრდით .

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამშენებლო სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 932 299	1 969 742
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა მოთხოვნები	428,563	837,389
საექვო ვალების ანარიცხები	(309 560)	(424 374)
ფული საბანკო ანგარიშებზე	2 263 838	2 029 492
სულ საკრედიტო რისკი	4 315 140	4 412 249

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივებსა და ვალდებულებებს. როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

	2024			2023		
	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო
ლარში ნომინირებული	9 040 164	-1 622 353	7 417 811	7 971 083	-715 255	7255828
ჯამი	9 040 164	-1 622 353	7 417 811	7 971 083	-715 255	7255828

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშევა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, თუმცა მენეჯმენტის შეფასებით სავალუტო რისკი არ წარმოადგენს კომპანიის მნიშვნელოვან ბიზნეს რისკ ფაქტორს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2024			2023			2022		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია
აშშ დოლარი	2 047 044	1 303 486	748 197	1 892 096	323 276	1 568 750	3,450,435	225,604	3,224,831

ევრო							10	100,380	(100,371)
რუსუ									)
ლი									
რუბლ							2,183	180,645	(178,463)
ი									)
ჯამი	2 047 044	1 303 486	748 197	1 892 096	323 276	1 568 750	3,452,627	506,629	2,945,99 8

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2025 წლის 12 აგვისტოს.

ოლეგი ბაზაძე
(დირექტორი)



შპს „თი თი სი“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2024

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თი თი სი“-ს მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თი თი სი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს სტანდარტები“).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

გასული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოთქმული იყო პირობითი მოსაზრება იმ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომელსაც კომპანია იყენებდა მარაგების შეფასების, გაყიდვებისა და გაყიდული საქონლის თვითღირებულების გამოსათვლელად. კერძოდ, უცხოურ ვალუტაში შემდინილი მარაგების თვითღირებულების საანგარიშგებო ვალუტაში განსაზღვრის პროცესში კომპანია იყენებდა აღრიცხვის პრინციპს რომელიც არ შეესაბამებოდა სასაქონლო-მატერიალური მარაგის აღრიცხვის წარმოდგენილ სააღრიცხვო პოლიტიკას და შეუსაბამო იყო მსს ფასს სტანდარტთან. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 21, „სავალუტო კურსების ცვლილების ეფექტები“ მოითხოვს, რომ ავანსები შეფასდეს შესაბამისი გადახდის თარიღების გაცვლითი კურსის გამოყენებით.

